

ს/ს 0102 50050. 35. 107. 016 268  
3/თ 15. 11. 2017 წ.



საქართველო  
ჩხოროწყუს  
მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

5000 საქართველო, ჩხოროწყუ,  
დ. აგმაშენებლის ქ. №1  
☎ 0(417) 22-01-28.

Georgia  
Chkhorotsku  
Municipality  
Council

5000 Georgia, Chkhorotsku,  
D. Agmashenebeli st. #1  
☎ 0(417) 22-01-28.



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36

2017 წლის 10 ნოემბერი

დ. ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

- ეს დადგენილება, გარდა დანართის პირველი მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- ამ დადგენილების დანართის პირველი მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



/ზესიკ ესებუა/

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

**მუხლი 1. კვალიფიკაცია და გამოცდილება**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების (შემდგომში – საჯარო დაწესებულება) დირექტორი (შემდგომში - დირექტორი) უნდა აკმაყოფილებდეს შედეგ მოთხოვნას სრულად:

ა) აქვს უმაღლესი აკადემიური განათლება ნებისმიერ დარგში (უპირატესობა ენიჭება განათლებას განათლების მეცნიერების, მასწავლებლის განათლების ან ფსიქოლოგიის დარგში);

ბ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში საგანმანათლებლო პერსონალად მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება ან ორგანიზაციაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (უპირატესია დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პერსონალად მუშაობის გამოცდილება) და ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება;

დ) გავლილი აქვს სასერტიფიკატო პროგრამა ზოგად მენეჯმენტში, განათლების ადმინისტრირებაში ან ადამიანური რესურსების მართვაში.

**მუხლი 2. სამართლებრივი აქტების ცოდნა**

საჯარო დაწესებულების დირექტორმა უნდა იცოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

ა) კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ;

ბ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

- გ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- დ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- ე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

### **მუხლი 3. სხვა საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები**

1. საჯარო დაწესებულების დირექტორმა უნდა იცოდეს:

- ა) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები;
- ბ) ბავშვის ჯანმრთელობის, ჯანსაღი კვების, უსაფრთხოების დაცვის პრინციპები;
- გ) ინკლუზიური განათლების პრინციპები;
- დ) უნივერსალური დიზაინის პრინციპები;
- ე) განათლების ძირითადი თეორიები;
- ვ) პრაქტიკული კვლევის მეთოდები განათლებაში;
- ზ) ადრეული განათლების თავისებურებები და პრინციპები;
- თ) ორგანიზაციული ქცევის თეორიული საფუძვლები;
- ი) ლიდერობის თანამედროვე თეორიები;
- კ) სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პრინციპები;
- ლ) ფინანსური მართვის საფუძვლები;
- მ) ფინანსური დოკუმენტაციის წარმოების პრინციპები;
- ნ) ინვენტარიზაციის პროცედურები;
- ო) ფონდების მოძიების პრინციპები;
- პ) პროექტის შემუშავების და მართვის პრინციპები.

2. საჯარო დაწესებულების დირექტორს უნდა შეეძლოს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვა;
- ბ) პოზიტიური კომუნიკაცია, მოლაპარაკების წარმოება და ადვოკატირება;
- გ) სტრესულ სიტუაციებში მუშაობა;
- დ) კომპლექსური ურთიერთობების მართვა;
- ე) პრაქტიკული კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი;
- ვ) დაწესებულების მუშაობის ეფექტურობის შეფასება;
- ზ) სახელმწიფო ენაზე კომუნიკაცია და დოკუმენტაციის წარმოება;
- თ) კომპიუტერულ პროგრამებში Word, Excel მუშაობა;
- ი) დოკუმენტაციის ელექტრონული და ბეჭდური ფორმით წარმოება.

#### **მუხლი 4. საჯარო დაწესებულების დირექტორად მიღების დაუშვებლობა**

საჯარო დაწესებულების დირექტორად არ მიიღება პირი, თუ:

ა) იგი ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის;

ბ) მან არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს.

#### **მუხლი 5. გარდამავალი დებულებები**

პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაეთვალოთ პირებს, რომლებიც ამ დადგენილების ამოქმედების მომენტში მუშაობენ საჯარო დაწესებულების დირექტორად.